ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №11

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N65 26 ივლისი 2019 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე- **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გელა ჩიკვაიძე, რამაზ არველაძე, კობა ძაგნიძე, თამარ შენგელია, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, სანდრო ხურციძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

(დანართი №1).

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი -**კობა მაღლაკელიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-**ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში -**ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე.**

მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **ნარგიზი ალფაიძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს რიგგარეშე სხდომას 11^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2. „ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) ს/ს „სილქნეტი“- სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ .

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე (ს/კ 31.01.26.068) შენობის მეორე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში 47,6 კვმ ფართის ა(ა)იპ - „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

5. არასამეწარმეო (არაკომერციული)მიურიდიული პირის ,,ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“(ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 9 მარტის N20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ნარგიზი ალფაიძე

6. ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სარაგბო კლუბ ,,აიეტი“-ს (ს/კ 429651469) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის N20 306 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილის სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ივანე მამფორიამ, წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ “ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძირითადად ბიუჯეტში ცვლილება განაპირობა ა(ა)ი პ სარაგბო ,,კლუბ აიეტსა“ და ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანებაში განხორციელებულმა რეორგანიზაციებმა. სარაგბო ,,კლუბ აიეტის“ დაფინანსება იზრდება 12,0 ათასი ლარით. სასპორტო დაწესებულებების დაფინანსება მცირდება 20,0 ათასი ლარით. საბავშვო ბაღების გაერთიანების ასიგნება იზრდება 18,0 ლარით. სახელოვნებო განათლების ცენტრის დაფინანსება იზრდება 4,0 ათასი ლარით. გარე განათების რეაბილიტაციის თანხა მცირდება 15,0 ათასი ლარით. ,,სულორი-ვანი’-ს დაფინანსება იზრდება 2,0 ათასი ლარით. მერიის ასიგნება მცირდება 1,0 ათასი ლარით.

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე -23

წინააღმდეგი-არცერთი.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება . ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ “ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

(დანართი: დადგენილება N19)

მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხთნ დაკავშირებით მომხსენებელმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ, წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ შეიმუშავეს სარეზერვო ფონდის განკარგვის ახალი წესი, რომელიც შედგება 4 მუხლისაგან და შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდა 2015 წლის 24 აპრილის N 19 დადგენილება. ახალი წესის თანახმად სარეზერვო ფონდიდან აკრძალულია ისეთი პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებებისათვის თანხის გამოყოფა, რომელიც გათვალისწინებული არის ადგილობრივი ბიუჯეტით.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე -23

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“

(დანართი: დადგენილება N 20)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) ს/ს „სილქნეტი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია თანხმობას ითხოვს, რათა ს/ს ,,სილქნეტს“ იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, თამარ მეფისა და სოლომონ მეორის ქუჩების კვეთასთან , გადაეცეს 3 ერთეული ბოძი იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -23

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) ს/ს „სილქნეტი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

(დანართი: განკარგულება N 27 31)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე (ს/კ 31.01.26.068) შენობის მეორე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში 47,6 კვმ ფართის ა(ა)იპ - „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს თანხმობას, რათა ,,სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“ გადაეცეს 47,6 კვმ ფართი უსასყიდლოდ პირდაპირი განკარგვის წესით.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -23

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე (ს/კ 31.01.26.068) შენობის მეორე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში 47,6 კვმ ფართის ა(ა)იპ - „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

(დანართი: განკარგულება N 27 32)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების"(ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 9 მარტის N20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ"

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს თანხმობას საკრებულოდან , რათა 2018 წლის 9 მარტის N20 352 ბრძანებაში შეიტანონ ცვლილებები.
დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -23

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების"(ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 9 მარტის N20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ"

(დანართი: განკარგულება 27 33)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სარაგბო კლუბ „აიეტი"-ში (ს/კ 429651469) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე".

ამ საკითხშიც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს თანხმობას, რათა შეიტანონ ცვლილელებები და დამატება მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის N20 306 ბრძანებაში.
დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -23

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სარაგბო კლუბ „აიეტი“-ში (ს/კ 429651469) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

(დანართი: განკარგულება 27 34)

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდგომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშენ სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე